№ 3505/01-8 "17" 06 2024

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

სს "სილქნეტის" შენიშვნები

„ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის" დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე

წარმოგიდგენთ, სს "სილქნეტის" შენიშვნებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტზე „ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირების წესის" დამტკიცების შესახებ (შემდგომში, „დადგენილების პროექტი") დაკავშირებით:

1. **დანართები**

თავდაპირველად გამოქვეყნებულ „დადგენილების პროექტზე" თანდართული განმარტებითი ბარათის შესაბამისად, პლატფორმის ადმინისტრირების წესები სტრუქტურულად უნდა შემდგარიყო ძირითადი ნაწილისა და ოთხი (4) დანართისგან. ძირითადი ნაწილს უნდა მოეცვა პლატფორმისთვის ინფორმაციის მიწოდების და პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსებისა და მასთან წვდომის ჩარჩო დებულება; ხოლო, დანართებში აღწერილი უნდა ყოფილიყო პლატფორმისთვის ინფორმაციის მოწოდების წესი, ვადები, სტრუქტურა და ფორმატი, ასევე პლატფორმაზე რეგისტრაციისთვის საჭირო ინფორმაციის ჩამონათვალი.

„დადგენილების პროექტის" საბოლოო ვერსიას არ ახლავს ზემოთ მოცემული დანართები (არც განახლებული განმარტებითი ბარათი შეიცავს მათზე მითითებას); შესაბამისად, გთხოვთ, განგვიმარტოთ მოხდება თუ არა ზემოთ მითითებული დანართების შემუშავება და რა ფორმით.

2. **მშენებლობის ნებართვები/თანხმობები**

„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ" (შემდგომში

შ-24-6/2667
17.06.2024
2ფურც

„კანონი“) „კანონის“ მე-14 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე განთავსებული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, ეს პლატფორმა მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. მშენებლობის ნებართვის/თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით“.

წარმოდგენილი „ადმინისტრირების წესის პროექტი“ არ ითვალისწინებს ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმის ფარგლებში, რა ფორმით უნდა განთავსდეს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია, ასევე ავტორიზებულმა პირებს როგორი ფორმით ექნებათ შესაძლებლობა, განახორციელონ პლატფორმის საშუალებით მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადისა განაცხადის წარდგენა. გთხოვთ, „კანონის“ შესაბამისად მოაწესრიგოთ მითითებული საკითხი.

გთხოვთ, წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი პროექტის საბოლოო რედაქციის მიღების პროცესში.

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი